აზერბაიჯანში არმიას 45 მილიონი მანათი გამოიყო
ორშაბათი, 02 სექტემბერი 2013 14:12

თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდში დაგროვილი თანხის რაოდენობა გამოაქვეყნა.
სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 1 სექტემბრამდე შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდის მანათის ანგარიშზე 45 მილიონ 264 ათას 531 მანათი, დოლარის ანგარიშზე 211 ათას 791 დოლარი, ევროს ანგარიშზე კი 593 ევრო დაგროვდა.
აღსანიშნავია, რომ შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდი ცხონებული ჰეიდარ ალიევის 2002 წლის 17 აგვისტოს განკარგულებით დაფუძნდა. ამ ბრძანების თანახმად, შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომსახურე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ნებაყოფლობით შემოსული რესურსები და კანონმდებლობით აუკრძალებელი სხვა შემოსავლების ანგარიშით ჩამოყალიბდა.
შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდის დებულების თანახმად, დაგროვილი რესურსები შეიარაღებული ძალების ფინანსურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის მომზადებას, ტესტირებას, მათ წარმოებას, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზებას, სამხედრო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტრო-სატესტო სამუშაოების ჩატარებას, სამხედრო ტექნიკის, იარაღის და საბრძოლო მასალის ყიდვას, სამხედრო კადრების მომზადებას, მათი უნარების გაძლიერებას, ჯარისკაცების სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას დაეხარჯება.
საერთაშორისო ბანკის ბინაგადის რაიონის ფილიალში შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდის მანათის, დოლარის და ევროს ანგარიშები ფუნქციონირებს.

1 / 2

აზერბაიჯანში არმიას 45 მილიონი მანათი გამოიყო ორშაბათი, 02 სექტემბერი 2013 14:12

2 / 2